მომხმარებლის უფლებების დაცვის ლიდერთა მომზადების პროგრამა
საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში

1. **პროგრამის აღწერა**

2022 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა.

აღნიშნული კანონის აღსრულების მიზნით, 2022 წლის 1 აგვისტოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს სისტემაში შეიქმნა მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი.

დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო აცხადებს კონკურსს, აღნიშნულ დეპარტამენტში პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით.

პროგრამა ორიენტირებული იქნება ამ პროგრამით განსაზღვრული პროფესიის სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიცემაზე.

პრაქტიკის წარმატების დასრულების შემთხვევაში, პრაქტიკანტს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტში.

2. **პრაქტიკის დაწყებისა და დასრულების თარიღი**

დასაწყისი: 2025 წლის 1 აპრილი

დასასრული: 2025 წლის 31 მაისი

3. **პრაქტიკანტთა რაოდენობა**

სააგენტოში მისაღებ პრაქტიკანტთა რაოდენობა შეადგენს 1-ს
(სამართლის სპეციალიზაციის სტუდენტი)

4. **პროგრამის ავტორი:**
   საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

   პროგრამის შემსრულებელი:
   მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

5. **პროგრამის მიზანი:**

- სტუდენტების პრაქტიკული, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო შესაძლებლობის შექმნა.
- პროფესიონალების ზედამხედველობით და გამოცდილების გაზიარებით პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- კვალიფიციური კადრების მომზადების ხელშეწყობა;
- მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

6. **პროგრამის ბენეფიციარები:**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელი იქნება:

- მოქალაქეებისათვის, რომლებიც ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და სწავლობენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის ბაკალავრიატის დამამთავრებელ, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე.

პროგრამის განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სტუდენტები
- საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

7. პროგრამის მიმდინარეობის დეტალური აღწერა:

- ეტაპი 1

2025 წლის 5 თებერვალს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ გამოცხადდება კონკურსი, სადაც მონაწილეობის მიღებას შეძლებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები

- ეტაპი 2

პრაქტიკის პროგრამით დაინტერესებულმა პირებმა 2025 წლის 8 მარტის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ განაცხადი საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ელ. ფოსტაზე consumer@gcca.gov.ge, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- სტუდენტის სახელი და გვარი
- პირადი ნომერი
- ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ

კონკურსში მონაწილეობისთვის, იურიდიული/სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ მომხმარებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ სტატია, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნაშრომი უნდა იყოს ქართულ ენაზე
- ნაშრომი უნდა იყოს მინიმუმ 3 გვერდი და მაქსიმუმ 5 გვერდი, შრიფტი - უნიკოდი (Sylfaen), რომლის ზომა უნდა შეადგენდეს 11-ს, ხოლო სტრიქონებს შორის დაშორება 1.15-ს;
- ფორმატი - ელექტრონული (MS Word ან PDF);
- ნაშრომი უნდა იყოს ორიგინალური, არ უნდა იყოს უკვე გამოქვეყნებული;
- ნაშრომი უნდა იყოს აქტუალური;
- ნაშრომი მიზნად უნდა ისახავდეს დარგში არსებულ დისკუსიაში ჩართვას ან ახალი დისკუსიის წამოწყებას, მასში უნდა იყოს მოცემული მყარი არგუმენტები და დასაბუთებული მოსაზრებები;
- დაცული უნდა იყოს გამოყენებულ წყაროთა ციტირების სტილი (სტუდენტის არჩევანით) და მას უნდა ახლდეს ბიბლიოგრაფია.

- ეტაპი 3

ნაშრომები, რომლებიც ტექნიკურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, შეფასდება კომპეტენტური პირების მიერ შექმნილი კომისიის მიერ (სააგენტოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსი, მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, სასწავლო-კვლევითი ცენტრის უფროსი)

საუკეთესო ნაშრომის ავტორი სტუდენტი:

- ნაშრომის შესახებ წარადგენს მოხსენებას მომხმარებლის უფლებების დაცვის III საერთაშორისო კვირეულის გახსნით ღონისძიებაზე (2025 წლის 10 მარტი).
- გაივლის 2 თვიან პრაქტიკულ კურსს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტში.